



მშობელი № 43

რეპორაჟი ურთიერთობებზე.



იღვა ამ სურათის შინაარსისა წასვსებია სოლომონ ზურგელიძის. 1905 წლის ერთი პატარა ნაწყვეტიდან, ხოლო მისადაგებულია დღევანდელ მომენტზე. გე-ნიოსური აზრი არასოდეს არ ჰკარგავს მნიშვნელობას.



ეშმაკოს ნაშთი

„ეძიებდეთ და პოებთ“.

ჩემს ხელნაწერებში აღმოჩნდა სოლომონ ზურგელიძის ხელით ნაწერი პატარა, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ლექსი. მე ვიჭარი შგოსნის ტრადიციული გარდაცვალების მეორე წლისთავზე ივანიჭო ჩვენს მკითხველთ და აგრეთვე მთელ ქართველ ერს უფარესი სიამოვნება მისი წაკითხვისა, აღნიშნული ლექსის კრიტიკულ განხილვაში მე არ შევდივარ, ვინაიდან ეს შეადგენს აშხ. მორიელის სპეციალურ საგანს.

პატივისცემით ეშმაკი.

ს ა შ მ ა კ ო ს ლ ო

— პოემა —

(ძველის ძველი ხელნაწერიდან)

ჩემი სამშობლო იგია,
სადაც მე დავიბადეო,
სადაც გაუხილე თოლგები
და გავიხედე იმითო.

არ გავსცვლი იმას,
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.

სადაც მე მყავდა დედ-მამა
დები და მამიდებო,
ბიცოლა (წერეთლის ქალი)
სხვაც ბევრი ნათესავები.

არ გავსცვლი იმას,
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.


სადაც მე მითამაშნია
ბურთი და მოედანიო,
მე იქ მოკვდები ცოცხალი
შავს მიწას მიმაბარებენ.

არ გავსცვლი იმას,
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.

იგია ჩემი სამშობლო,
არ გავსცვლი იმას ჩინ'შოო,
იქ მირჩენია სიკვდილი
სხვაგან სულდგმულათ დარჩენას.

არ გავსცვლი იმას
არ გავსცვლი
არ გავსცვლი
არა, არაო.

თ და სოლომონ ზურგელიძე.



სოლომონ

ზურკემლიძე

და მისი პოეზია.

ჩვენს, ქართველ კრიტიკოსებს, სხვა მრავალ ახირებულ ახირებულებათა გარდა, ერთი უახირებულესი ახირებულებაც სჭირათ.

„კარგი რამ სჭირდეთ გიკვირდეთ, ავი რა საკვირველია!“

როდესაც დიდებული მწერალი და ღრმა მოაზრე დაბალ წრიდან არის წარმომდგარი, მაშინვე ბუკსა და ნალარას დაჰკრავენ: — შეხედეთ, ხალხნო და ჯამათნო, რა კაცი გამოვიდა დაბალი წრიდან, ღარიბი ოჯახიდანაო.

ჩვენს ღრმა რწმენით ეს სასტიკი, მიუტევებელი შეცდომაა. ჩვენ დიდაც არ უნდა გიკვირდეს, თუ დიღბუნებოვანი ადამიანი ღარიბი წრიდან მოგვევლინება; ვინაიდან ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ როდესაც ერის სიამყვე მდიდარ ოჯახისა, ან წარჩინებული გვარისაგან მომდინარეობს, აი აქ ჩვენს განცვიფრებას ჰემშარბათა უნდა მიეცეს ფართე ასპარეზი და ვასაქანი.

„საიდან სადაო, წმინდაო საბაო!“ ამ კრიტიკულ წერილში ჩვენ ვერ ვიზიარებთ ბრიუნტიერის მიერ აღიარებულ ევოლიუციონურ მეთოდს და რამოდენიმეთ ვეთანხმებით ირ. წერეთლის მიერ გამოთქმულ აზრს: „რომანტიზმის, რეალიზმის, სიმეოლიზმის ჩანასახები თითოეულ ერის შემოქმედებაში მოიპოება, როგორც უძველეს ხანებში, აგრეთვე ჩვენს დროშიაც“ ო.

უდიდესი ქართველი მოღვაწე, სოლომონ ზურგიელიძე, სრულს უფლესას გვაძლევს მტკიცეთ შეგრჩეთ ამ მოსაზრებას. მის შეუღარებელ ლექსებში უხვად აღის გაბნეული მომჯადოებელი სტრიქონები ლიტერატურული „გვარების“ ამა თუ იმ დარგებიდან. აქ სიმბოლოზში მქიდროთ არის ვადაწნული რეალიზმთან, რეალიზმი რომანტიზმთან, რომანტიზმი მისტიციზმთან, ხოლო ყველანი ერთად ხლართულის რკოღვბით ვადაჯაქვეულ არიან აწ

ჩვენს ლიტერატურაში გამეფებულ სკისმბრივ ფუტურიზმთან.

მეტიჩრობა იქნებოდა ჩემი მხრით, შეკისრა სოლომონ ზურგიელიძის მოღვაწეობათა ყოველმხრივი განხილვა. მე ჩინებულათ მესმის, რომ ეს ერთი ადამიანისათვის, რაც უნდა ბუმბერაზი ნიჭის პატრონიც იყოს იგი, ყოვლად დაუძღვეელი ტვირთია. მე ჩემს თავს ბედნიერთა ჩავსთვლი, თუ ნაკისრ დარგს, სახელდობრ პოეზიას დიდებული მგონისას ოდნავ ვაგარკვევ, რაც დღე მოდის სულ ახალ-ახალი ხელნაწერები ჩნდება მგონისა, ერთიმეორებზე უკეთესი, ერთიმეორებზე უფრო მომზიბეღელი. ეს გარემოებაც, ცოტა არ იყოს ართულებს მკვლევარის შრომას.

საქიროა აღინიშნოს, რომ სოლომონის შემოქმედება ორ ხანად იყოფა:

- ა) ლექსები უწინ დაწერილი.
- ბ) ლექსები შემდეგ დაწერილი.

მართალია მათ შორის მქიდრო კავშირია, მაგრამ განსხვავებაც ერთობ საგარანობია, უმთავრესად პოეტრკის მხრივ.

ერთ უღრესსა და უშესანიშნავეს ლექსს სოლომონის წარმოადგენს ახლად აღმოჩენილი პოემა „სამშობლო.“ სამწუხაროთ ხელნაწერს არა აქვს დასმული დატა, თუ როდის არის იგი შექმნილი ავტორის მიერ, მაგრამ პოეტრკის საშუალებით ჩვენ თამამად შეგვიძლია „სამშობლო“ უწინ დაწერილ ლექსთა კატეგორიას მიეთავსოთ.

პირველ თვალის ვადავლებისთანავე პოემა, „სამშობლო“ თქვენ მოგაგონებს რაფ. ერისთავის ცნობილ ლექსს: „სამშობლო ხეესურისა.“ არავისთვის სანეკუ არ არის, რომ იმ დროს, როცა სოლომონის გენია აღნიშნულ პოემას ქმნიდა რაფიელ სკოლაშიაც არ იქნებოდა მიბარებული და ამიტომ რაფიელ ერისთავს აზრი უთუოდ ნასესხები აქვს.

ამ აზრის დასასაბუთებლად საქმარისია ერთი პატარა შენიშვნაც. პირველი კუპლეტი პოემისა ამბობს:

„ჩემი სამშობლო იგია,
 სადაც მე დავიბადეო,
 სადაც გავხილეთ თოღები
 და ვავიხვდეთ იმითა.“



სიტყვა „თოდები“ ზეესურული გამოთქმაა „თოდები“-სა და ცხადია რაფ. ერისთავმა როცა ის სოლომონს სიუჟეტს „პარავდა“ განგებ დაარქვა „თავის“ ლექსს „სამშობლო ზეესურისა.“

სიტყვაკაზმული სიმშვენეირე ამ ტაგების ყოველივე ეპეს შეუძლებელყოფს სოლომონის ვარიანტის უპირატესობასა და პირველობაში. თვით გრძნობა სამშობლოს მოყვარულობისა სოლომონის პოემაში არ არის ისეთ ვიწრო ფარგლებში ჩაყენებული, როგორც ეს რაფიერე ერისთავს უქნია თავისს „სამშობლო ზეესურისა“-ში. მართლაც რისთვის მარტო ზეესურს უნდა უყვარდეს სამშობლო და არა ყოველ ქართველს, როგორც სოლომონი ამბობს?

საინტერესოა პოემის მეორე ტაგებიც:

„სადაც მე მყავდა დედ-მამა,
დები და მამიდებიო,
ბიცოლა (წერეთლის ქალი)
სხვაც ზევერი ნათესავეები“

ახლად აღმოჩენილი სურათი, „შობა სოლომონ ზურგიელიძისა“ (იხილე მე 16 გვერდი) გასაოცარის სიცხადით აღსატურებს ამ ტაგების შინაარსსა და მასში ჩამარბულ საიდუმლოებებს. როგორც ხედავთ სოლომონი იხსენიებს დებს, მამიდებს დ-ბიცოლას, რომელიც ყოფილა წერეთლის ასული ზურგიელ ძისა. ძმების შესახებ მკოსანი სდუმს და ეს იმიტომ, რომ ის ერთად ერთი ვაჟიშვილი იყო ზურაბ ზურგიელიძისა.

ჩვენ შორს წავიყვივნა თითოეული კუბლეტის ცალკე განხილვა, მიუხედავად მათი ღირებულებისა. თუ მკოსან რომაქიძის აზრით თითოეული ტაგები „ჩვეუბის ტყაობნისა“ ათასათას დღიურ მიწათ ღირს, რა უნდა ეღიროს მაშინ აი ეს ოთხი მოსმა დიდებული კალმისა:

„სადაც მე მითამაშია
ბურთი და მოედანო,
მე იქ მოკვდები ცოცხალი
შავს მიწას მიმბარებნ“

რომაქიძის არშინით რო ვზომოთ მკონი დღევანდელ ქართველთა. რეალურ მოსახლეობის ტერიტორია არც კი ეყოფოდა მარტო ერთ ლექსს სოლომონ ზურგიელიძისას.

მეორე, ახლად აღმოჩენილი ლექსი უკვდავი ავტორისა საგმირო მუხის ნაყოფია. სათაური მისი

„ხანჯალი“ თავისთავად ნაძველს მკოსნის მუხა ჩვენი მამა პაპული იარაღის ვარშეშეო ტრიანლებს და ერთობ შორს არის გადადგარების ტენდენციისაგან, რომელმაც თავი იჩინა ახლგაზღა ქართველ მწერლებში. აი თვით ლექსიც.

ხანჯალი

ხანჯალო, შესატევარო,
რკინა ხარ ფოლადისაო.
ტარი გაქვს ვაცეთებული
შავი ძროხის რქის ძვლიდან.
ფართეცა ხარ და გრძელიცა
ფიქვის ყავარსა ჰგებხარო
ორივე მხრიდან პირი გაქვს
ყუა აბა სად გექნება.
მტერს რომ გაგყრი მუცელშიო
მიგატრი, მოგატრიანლებ
ნაწლევი ვადმობრუნდება
სისხლი წამოვცა ღვარათო.
მე იმით თავ-პირს დავიბან
ულვაშებს შევიღებავო
მტერი კი იქვე მოკვდება
აღილული იმისო.
იისი ოხვრა იქნება
ჩემთვის ნანინას სიმღერა
დედამ თუ შვილი გაზარდოს
ხანჯალო, შენისთინაო.

„სულეიმან ოღლი.“

მიუხედავად ჩვენი ერის პარტიული დაქსასულობისა, არა მგონია აღმოჩნდეს ისეთი ქართველი, რომლის გულიც არა სცემდეს ამ ლექსის წაქიშვის დროს.

მე არ შევედგები აქ გრცლათ ამ ძვირფასი განძის განხილვას, მაგრამ უფლება არა მაქვს ორიოდ სიტყვა არა ვსთქვა მის ძირითად საუფუძელეს. ცხადია ეს ლექსიც ავტორს უწინ დაუწერია, ე. ი. შემდეგი ლექსების დაწერამდე. ამას უმთავრესად ასაბუთებს ლექსის უძლიერეტი და მხატვრულს მხრით შეუღარბელი ტაგები:

„მე იმით თავ-პირს დავიბან
ულვაშებს შევიღებავო
მტერი კი იქვე მოკვდება
აღილული იმისო.“

როგორც ხედავთ ავტორი ფიქრობს მტრის



სისხლით, რომელიც „ღვარათ წაშოვა“ ხანჯალ ნაკრავ მუცლიდან, შედეგობს უღელში და დიბანოს თავპირი. წვერის შესახებ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი და ვინ არ იცის, რომ სოლომონი წვერს არ იპარსავდა. მაშასადამე ცხადია ავტორს ლექსის წერის დროს მხოლოდ უღელში მქონია აბიბინებული და წვერს მხოლოდ ელოდა იმისი ღვთაებრივი ღაწვი.

საინტერესოა მეორე მხარეც ლექსისა. სოლომონი სწერს:

იმისი კენესა იქნება
ჩემთვის ნანინას სიმღერა,
დედამ თუ შვილი გაზარდოს
ხანჯალო შენისთანაო.

აქ ავტორი სიციცხლის სულსა ჰპერავს უსულო ხანჯალს და ადარებს მას შვილს: „დედამ თუ შვილი გაზარდოს, ხანჯალო შენისთანაო!“ არა ერთსა და ორ ქართველს უძღვნია ნაყოფი თავისი მძლავრი მუხისა ხანჯალისათვის, მაგრამ ამ კლასიკურ სიმშენიერემდე არაყინ ასულა. იმავე აზრს, რაიც გამოთქმულია ზემოთე ამისა მოყვანილ სოლომონისეულ ლექსის ტრავებში, მგოსანი აკაკი ასე მკრთალად გამოხატავდა:

„მისი წითელი მელნითა
შემალეზინე კალარა,
იმისი კენესა იქნება

ჩემთვის დედი და ნალარა“-ო და ეს სიმკრთალე მარტო იმ გარემოებით არ აიხსნება, თითქო აკაკის თავისი „ხანჯალი“ კალარაობის დროს დაეწეროს, ხოლო სოლომონს კი ეახსა სიქაბუქისს. ასეთი შეხედულობა შეცთობა იქნებოდა.

ახირებულია ერთი გარემოება ჩვენს მწერლობაში: ორი სხვა და სხვა პიროვნება ერთი მეორის დამოუკიდებლათ ერთსა და იმავე აზრს თითქმის ერთისა და იმავე სიტყვებით გამოხატუქავენ. ამ შემთხვევაში აბრალო თუ ვისმე ედება, რასაკვირველია იმას, ვინაც შემდგომად გამოსთქვა და არა იმას ვინაც პირველათ დაუღერა ჩანგი. სანიმუშოდ მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს. სოლომონი თავისს შესანიშნავ ლექსში „დროშა“-ში ამბობს:

„აბა ჰა, შენ ზევით! აბა ჰა, მე ქვევით!
მხარი მხარს მიცსეთ ერთმანეთსაო
სისხლი გვწყურია, სისხლი უნდა ცსვათ
და ნაზი გული გესლით ვავებერთა.

ამავე საგანზე თანამედროვე მწერლებს განსაკუთრებით უნდა განდევნოთ გავრცელებული „საქართველოს“ 1916 წლის მე 254 ნომერში სწერს:

„მაშ გადმოძახე! შენ მანდ და მე აქ!
აღმართთ დროშა სახატავშიო.“
სისხლი მწყურთან და, გაშმაგებულს
გესლათ მქცევია სულის სინაზე,

ჩვენ შორსა ვართ იმ ზრახვიდან, თითქო პატიცემულ მგოსანსა ქალის შემოაქედებით ორიგინალობაში ევეკი შეგვექონდეს, მაგრამ უპირატესობას უკვდავი სოლომონის წინაშე მას მივნივერ დაეუთმობთ.

სოლომონი ძლიერი და შეუღარებელია არა მარტო საგმირო ლექსებში. მისი ლირიზმი, ეგ ნამდვილი მუსიკა ბუნებრივი და ძალდაუტანებელი. ჰკითხულობთ და გგონიათ თქვენს წინაშე პირდაღებული ანგელოზი მდგროდეს, იმზომ კეთილბეოვანი და სასმენათ საამური ლირიკული ნაწარმოები ჩვენი უკვდავი მგოსნისა.

„როგორც მოაწეეს მაისი, ტყეები
ფურცლებს შლიანო.

მათარში ისევე კვდებთან ზართა და ზეი-მითა...

ცხოვრება მარად ასეა, ცხოველისა და შეშისო
ჯერ ბადებს ქვეყნად რაღაცა, მერე კი
მოკლავს სიკვდილი.“

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ღრმა მკოდნე ბუნების იშვიათია ჩვენს მგოსანთა შორის და სოლომონ ზურგიელითე ამ ხრივაც თითიც საჩვენებელ მოაკლის წარმოადგენს.

საიხილო ოა სოლომონის მიერ პირველათ ხმარებულ ღლს უფიკაცია საგნებისა. საზოგადოთ მიღებულია ანთა ორ დარგათ გაყოფა: სულიერათ და უსულოთ. მაგრამ მხატვრული ნიჭი რიდასი მხატვრული იქნებოდა, თუ ჩვეულებრივის ნაცვლად უჩვეულოს, მაგრამ უადრესად მისადაგებულს და უწმვერვალესათ მხატვრულ ფორმას არ მოსძებნიდა. და აი სოლომონიც უკუაგდებს ჩვეულებრივს და სკვდს:

„ცხოვრება მარად ასეა
ცხოველისა და შეშისო.“

კეთილზნოვანებაც, თუღწარმტაცი ფორმაც და ღრმა შინაარსიც ერთი კაღმის მოსმით უკვე მზათ არის.

თანამედროვე მგოსნებში სოლომონს! თითქმის



ყველა ახალგაზრდა ენათესავება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იმ ნადაგს, რომელზედაც ისინი აღმოცენდნენ თამამად შეგვიძლია „სოლომონის ნიადაგი“ ვუწოდოთ. ვასული (1916) წლის „თეატრი და ცხოვრებას“ მე 46 ნომერში მოთავსებულია ცნობილი ქართველი მგოსნის ილ. მოსაშვილის ლექსი, სადაც თითქმის იგივე აზრია გამოთქმული, რაიც ზემოაღნიშნულ სოლომონის ტაბაში ამოვითხებთ, მაგრამ რასაკვირველია უფრო მკრთალათ და ზეზეურათ:

ვმისობთ, ვიშლებით ვცივლივობთ, ვიცინით
ზამთრდებავკვდებით და მოვდივართ ქვეთინით
(ილ. მოსაშვილი)

ჩვენ რასაკვირველია ბ-ნ ილ. მოსაშვილს ვერ მოვსახვობთ ვერც ისეთ ღრმა ცოდნას ბუნებისას და ვერც ისე მკაფიოდ სურათის გამოხატვას, როგორც ეს სოლომონის სჩეგვია, მაგრამ მწერლისათვის მაინც მეტი დაკვირვებაა (თუ ცოდნა არა) საჭირო.

„თეატრი და ცხოვრებას“ იმავე მე 46 ნომერში მოთავსებულია მეორე მშვენიერი ლექსი დამსახურებული ავტორისა, გაბრუაშვილისა, სახელწოდებით „მძლავრ დავბრუნდი“ იქ სხვათა შორის სწერია:

„რა რომ ვისმინე
სანატრელი მტკვრისა დუღუნე
უმალ ამომხდა
ნესტიანი გულის ღლინი.
შენის ტრფობითა
აღზნებული გინდ ზეცას ავალ
ვერ შემავანებს ჯოჯობეთი
გინდ ქვესკნელს ჩავალ.
და შემეყვარებს ჩემი სარტფო
გულისა სწორი
მან უკვე იცის ჩემი საქმე,
ვით ორჯერ ორი.

(დ. გაბრუაშვილი)

მართლაც ღრმა აზრითა და მიმზიდველი პოეტური ფორმით არის შეზავებული აღნიშნული მგრძნობიარე ლექსი დ. გაბრუაშვილისა, მაგრამ მაინც უძლიერ-უსუსურია მისი შემოქმედება სოლომონის მაგვარსავე ნაწარმოებთან შედარებით. ჯერ კიდევ 1879 წელს, როცა პირველათ დაუბრუნდა სამშობლოს რუს-თათართა ომიდან მომავალი სოლომონი მან დასწერა:

რაკი რიონო, შენ მდინარეა

მე დაგინახე
მყისვე შემენძრა გულის ჩემის
ქაობი ზღუდე
და შენი ნახვით განაშლევდი
მონაჯადვარი
გინდ ცაზე ვავალ, გინდ ქვესკნელში
გინდა ჯანდაბას.
მე შენ გიყვარხარ და კიდევაც
ვიცი რას ამბობ
როცა მოაქუხი რაკრავითა
ვით ორჯერ ორი.
(„სალამი“ სოლ. ზურგიელიძე)

მე სრულიადაც არ მივიკრს და ან ვის გუჯვირდება, თუ ნორჩმა კალამმა დ. გაბრუაშვილისა იხე ვერ გამოჰქვეთა აზრები, როგორც იმას სოლომონის მძლავრი ხელი სჩადის. მაგალითისათვის მხოლოდ ორი განაწერა ავიღოთ. ბ-ნი გაბრუაშვილი ამბობს: უმალ ამომხდა ნესტიანი გულის ღლინიო. იგივე აზრი ჩვენს შეუდარებელ მგოსანს გაცილებით უფრო გაღრმავებული აქვს, როცა ამბობს:

„მყისვე შემენძრა გულის ჩემის
ქაობი ზღუდე“-ო.

აგრეთვე საყურადღებოა სამშობლოსათვის თავგანწირულება მგოსანთა. აქაც, რასაკვირველია, ბ-ნი გაბრუაშვილი შეუაგზაზე ჩერდება, როცა ამბობს:

„გინდ ზეცას ავალ
გინდ ქვესკნელს ჩავალ“.

სოლომონი აქაც უფრო აღრმავებს საკითხს და სამშობლოს სიყვარულშიაც უკიდურესობამდე მიდის. იგი სწერს:

გინდ ცაზე ვავალ,
გინდ ქვესკნელში,
გინდა ჯანდაბას...

აქ თითქმის უკანასკნელი ღონისძიება გადარჩენისა უარყოფილია და სამშობლოსათვის თავდადება უზრუნველყოფილი. თუ ცაზე ასვლისას არ დაიძვრა მგოსანი, ან ქვესკნელში სული არ შეეხუთა, ჯანდაბას მაინც დაკარგული იქნება და ისა. ბ-ნი გაბრუაშვილს: ცხადია, დაავიწყდა „ჯანდაბას წასვლა“ და ეს ყოველ შემთხვევაში ღირსებათ მას ვერ ჩაეთვლება.



ვიღრე სიყვარულის პოეზიაზე გიდავიდოდე, საჭიროთ ესთვლი აღწნიშნო, თუ როგორ ასურათ ხატებდა მგოსანი თვით შემოქმედების მომენტს. ეს დღეთაბრივი მომენტი, ანუ ვაზი როდესაც მგოსანს მუხა მოველინება, ერთვავარ ფსიხოლოგიურ განწყობილებას იწვევს ადამიანის გონებრივ ცენტრში. საზოგადოთ ეს მომენტი, როგორც მომენტი მშობიარობისა, დიდ ტანჯვას აყენებს მგოსანს, რომელიც არასაკვირველია სავსებით გამოსიცილება ხოლმე ახალ შობილი ლექსის ან პროზის მშენიერებით.

ქართველთა შეუღარბელი მგოსანი გიორგი გვაზავა ასე ასურათებს აღნიშნულ მომენტს:

„სდულს უბედური ჩემი გონება,
სდულს, როგორც ცეცხლზე შედგმული ქვაბი
და ვერც გაუძლებს ამ დულილს, ვერა
თავისა ქალა და გულის ძგერა“.

(გიორგი გვაზავა. ლხ. გვ. 26—27)

საკმარისია თვლი ვადავლოთ ახალგაზრდა მგოსანის მომხიბლავ ტაქსს, რომ თქვენ თვალწინ დაგებატოთ სიდიადე იმ შემოქმედებითი ტანჯვისა, რომელსაც მგოსანი განიცდიან წერის დროს. მაგამ წაიკითხავთ ამგვარსავე სურათს სოლომონ ზურგიელიძისა და გიორგი გვაზავას მხატვრული ნაწარმოებიდან ბურტყულიც აღარა რჩება.

„როგორც ქოთანში (თიხის) ლობიო,
ისე სდულს თავში ჩემი გონება...
ტვინი ბობოქობს... აბა რა ბუზი?
თავის ქალაში მე ის გგონია“.

(სოლომონ ზურგიელიძე)

მე არა მსურს ერთი დავამცრო და მეორე ადვამადლო, ვინაიდან სოლომონ ზურგიელიძის ამაღლება სრულიადაც არ საჭიროებს სხვის დამცირებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ გიორგი გვაზავა მისადა სასახელოთ, ერთობ ახლო მიუღდა სოლომონის შემოქმედებას, როგორც რითმათა კეთილხმოვანების, აგრეთვე შინაარსის მხრივაც. სამწუხაროთ პოეტმა უდროოდ დროს მიატოვა მგოსნობა, რომელიც უცილობელ დაფნის გვირგვინებს უმზადებდა მის. დღეს პოლიტიკამ დასაზარა მასში მგოსანი.

განსაკუთრებით ღირსიერი სოლომონ ზურგიელიძე ტრფობის პანგებშია:

„ტრფობის ალები ვარს მებწვევიან,
როგორც ბუზები
და ვიდაგები
ვიწვი მწვადივით“-ო.

ამბობს იგი ერთ-ერთ ბავშვებსა და მათილიში კნაიენა ფრუტუნია ჩუშპოველისადმი. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პირველი ლექსი მგოსანისა სწორედ ტრფობის ალით იყო გაუღწეოილი და მიუხედავით მრავალ ათწლოვან სიძველისა გერაც უდიდესი მიმზიდველობით არის შემკული.

ეს ლექსი არის „ფავლები“.

როცა ვხედავ ქალბნას,
და ზედ შავ — შავ თვალებსა
მოსვენება მეკარგვის
ვიწვი და ვიდაგები.

ნაპერწყლებს ყრის ჩანჩქერად,
როგორც ტალდა მრისხანე
მე კი კვალად შევეყურებ
იმას ვაგვიებული.

იქ იმ თვალში მე ვხედავ
ჩემს მამულს და ქვეყანას
და რომ გრძნობა მომერიოს
ეს ვაკვირვებს თქვენ განა?

(კირტო. აგოვე სოფ. ზურგაეაძე)

ამ ლექსს უკვე საკმაოთ იცნობს ჩვენი მკითხველი და საჭიროთ არა ვთვლი მასზე შეჩერებას. ჩვენ მოვიხსენიეთ ის, როგორც პირველი ნაპერწყალი იმ დიდი მუხისა, რომელიც დაერთო ჩვენს სამშობლოში და დლიდან მისი გაჩირადნებისა გზას უნათებეს მთელ ერს. ჩვენის ღრმა რწმენით მასზე აღმოცენდა არა თუ ახალგაზრდა მშობლიური მწერლობა, არამედ უფრო მომველოც.


თვით ი. გრიშაშვილის ვენებიან მუხასაც არ შეუქმნია არაფერი იმის მგვარი, რაიც ისე დაუზოგველის სიუხვით განზრეულია სოლომონ ზურგიელიძის ხელნაწერებსა და ნაბეჭდ ლექსებში. აი სანიმუშოდ ერთი მათგანი:

„როგორც მუხი და ზარი,
თავში ფერი დამკარი
და ვიყვირე სიმწარით
ვი დედავ, მიშველე!

შენ წიხლი მკარ და მე კი
ფეხის გულში ვაკაცე
ოჰ, შენ კი გენაცვალოს
სოლომონ ზურგიელიძე.“

ამ პატარა ტაქებში რომ ჩავსვათ მთელი ათწლის შემოქმედება ი. გრიშაშვილისა, მას ისე დაგმნევა, როგორც ოკეანეს ობოლი წვეთი წვიმისა.

ერთად ერთი სუკათი სოლოგორნ ზურკვილიძისა



როგორც მგოსანთან დაახლოვებულნი პირნი გადმოგვცემენ, ეს ძვირფასი განძი სოლოგორნის კალმის შემოქმედებისა ეკუთვნის მის ბავშვობის ხანას; დაახლოვებით ის აქ დროს 27 წლისა იქნებოდა.

სურათზე გამობატულია: მამა მგონისა ზურაბ ზურგიელიძე და მისი საყვარელი ცხენი „მალხაზა“.

როცა, ახალ გაზაფხულზე, თავადმა ახსნა საბელი და „მალხაზა“ საბილახოთ გაუშო, ცხენი ისევ მობრუნდა და სასახლის კარს მოადგა. ზურაბ გამოვიდა და უთხრა:

— მალხაზო მომიცია შენთვის თავისუფლება, წადი, იარე საკუთარ ნებაზე, გინდ აღმა, გინდ დაღმა, როგორც მოგეხალისოს.

ცხენმა, მიიარ-მოიარა და ისევ პატრონს მოუბრუნდა. ზურაბი ძლიერ გაცხარდა. გამოიტანა საბელი და შესძახა:

— მე თავისუფლება მოგეცი. შენ ვერ მოიხმარე. მომდგომიხარ კარს: — დამაბი, დამაბიო; ამა, ჯანი გავარდეს, დაგამამ!!!

და დაბა „მალხაზა“.

სურათზე გამობატულია უკანასკნელი სცენა.

როგორ ჰქვნიდა ის



ეს მშვენიერი მხატვრობა, ნაწარმოები ძვირფასი მ. ქიაურელის კალმისა, საესებით გამოხატავს იმ ტრაგიკულ მომენტს შემოქმედებისას, როცა ნეტარსენებული სოლომონი ჰქვნიდა თავისს უკვდავ ლექსებს. აი ამ გვარ მომენტსავე ჰხატავს პოეზიით თვით მგოსანი შემდეგ მკაფიო სიტყვებში:

„როგორც ქოთანში (თიხის) ლობიო,
 ისე სდულს თავში ჩემი გონება...
 ტვინი ბობოქრობს; აბა სხვა რაა??.
 თავის ქალაში მე ის მგონია“.

(სოლომონ ზურციელიძე)



„ქალო, კბილებზე რომ გაქვს ტუჩები,
ჩასუქებული ვით ერბო კვერცხი,
ღმერთო შეგცოდემ!.. რომ დავინახე
მე, ღორ მუცელამ, დავაღე პირი
და ვვლაბავ წერწყვეტს გამაგებულ
მაშ რაქნა, რაქნა?
მეც ხომ მაქვს ტუჩი?

აი ვულკანი ვნების მხატვრულად ამონახეთქი
მგოსნის გულოდან, მშვენიერ ტუჩების დანახვაზე.
არ ვიცი, განა შესაძლებელია ამ აზრის უფრო
მკაფიოთ, უფრო ვნებით, უმეტეს ცუცხლთა და
მშვენიერებით გამოხატვა? არა და არა. თვით უდი-
დეს მგოსანს ილია ქავჭავაძესაც ვერ შიულწვეია
მცირეოდენ მსგავსებამდე, თუმცა იმავე შინაარს ჩას-
ქიდებია:

„მაგრამ მაინც კი,
როს ვკვრეტ ორ ტუჩთა,
დასადნობლათა
ჩაკოკრებულითა
ღმერთო შემინდე!
მოვეყები კანჯალს
და მსუნჯასავით
წერწყვისა ყლაპვას“

(ილია ქავჭავაძე, ტომი I. გამოც. გელეკანაშვილისა
გვ. 44.)

უბრალო თვალისთვისაც საკმაო ერთი შეხე-
და, რომ განსხვავება ამ ორ დიდ მგოსანთა შო-
რის სოლომონის სასარგებლოთ გადასქრას. ჩვენ
კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი; ბევრი შარგალიტი
გვაქვს გამოსაზღვრებელი, მაგრამ სამწუხაროთ ეს
წერილი ისედაც გაგივარძელდა და იძულებული
ვართ აქ შევსწყვიტოთ.

მორიგული

სოლომონს

(მიბაძვა მისდამი)

შენ დიდებულო სოლომონ,
ვინც მგოსნათ გვეშვი ჩვენაო,
არ ძალმიძს მე შენს წინაშე
მუხლები არ მოვიდრიკო.

შენი სახელის სიხვეტი
შარავანდელით ნაფერი
გამოჰკრთის ყველაზე უფრო
გაშუქებული სინათლით.

შენ იყავ ჩვენი იმედი,
ბურჯი სამშობლო მგოსნების
და როცა მოკვდი, არ გვეყვებარ
კრემლების მეტი რა დავგრაჩა.

დღეს, როცა ჩაგრულ სამშობლოს
ბედი უღიმის მგონია
უფრო გრძნობს ერი ქართველი
რომ მას სოლომონ აღარ ჰყავს.

შენი უღმერთო სიკვდილი
მეც გულს მისივებს ნაღველით...
აქ ვინ დატოვებ დიდებო
იქ რომ წახველით ყველანი?

დღეს თქვენი სიტყვა ქვეყნისთვის
საკმეველი კელებტარია
გიზმობ და არსად მოსჩანხარ
ტარია ჩვენი ქვეყნისა.

შენსა სახელსა ვლიცულობთ
დღეს ქართულ ეკლესიებში...
შენ ყველგან შეტანილი ხარ
სიგბში საძველე პირთა.

გადმოიხედე ზეციდან
სასუფეველის კარიდან
შენ მოგოწოდებს ყოველი
ქართველ ჯარიდან მხედარიც.

მოავლე თვალი სამშობლოს
და ანუგეშე ყოველი
მიიღე ნაცვლად იმათგან
დასაკმოველი გუნდრუკი,
გამოდვიძული სამშობლო
დაგტირის, დაგტიხვინებსა
თავზე ნაცარი აყრია
რა ვაღიმიებს საწყალსა.



სიბრძნე სოლომონისა.

ერთხელ სოლომონ ზურგიელიძე თავად მანუჩარ გაფხევილიძეს სტუმართ ეწვია. სადილის შემდეგ ძვირფასი სტუმარი თავადმა ბაღში ჩაიყვანა. სეირნობის დროს მგოსანმა ერთი დიდი ხმელი მუხა დაინახა, კარგათ ახედ-დახედა, მიუბრუნდა მასპინძელს და უთხრა:

— თავადო მანუჩარ, შეხედეთ, აი ეს ხე გამსმარა.

მანუჩარმაც შეხედა მუხას და მართლა ხმელი იყო.

როდესაც სოლომონი სასულიერო სასწავლებელს ათავებდა ჩვეულებისამებრ გამოცდა დაუნიშნეს. მაშინ ის თითქმის ბავშვი იყო (24 წლისა) და ყველას აკვირებდა მისი ღრმა განვითარება. ანატომიის მასწავლებელმა კითხვა კითხვანე დააყარა კაბუქს და აშკარათ სჩანდა იმისი ჩაქრა უნდოდა. ბოლოს, როცა ველარაფერს ვახდა, ჰკითხა:

— ზურგიელიძე! აბა გვითხარი რა დანიშნულება აქვს ადამიანის ყურებს?

არც სოლომონი დახვდა ვაგლახათ; სხვა რამ სთქვი, თორემ ანატომია მან თავის ხუთ თითსავით იცოდა.

— ყურის დანიშნულება, ბატონო, ასეთია: ის იჭერს კაცის თავზე ქუდს, რომ არ ჩაოსძვრეს. მასწავლებელი ისე კმაყოფილი დარჩა ამ პასუხით, რომ დაივიწყა მათ შორის არსებული უთანხმოება და სოლომონს დღოიკა დაუწერა.

მხიარ მთარაზი

სტუმონ ზურგიელიძის

შესახებ.

იშვიათია ისეთი ქართველი, რომელიც სოლომონს არ იცნობდეს, როგორც მოღვაწეს, განსაკუთრებით კი, როგორც მგოსანს, მაგრამ ბევრს ქართველს არა ჰქონია ბუნდობლობა პირადად მისი ნაწარმოებისა. საქმე კი სწორეთ ეს უკანასკნელია.

დიხს, ის ვინც იცნობს სოლომონს როგორც მოღვაწეს, იცნობს მხოლოდ მთელი სოლომონის 1/4, ხოლო ვინც პირადად მასთან დაკავშირებული ყოფილა ის და მხოლოდ ის იცნობს მთელს სოლომონს.

პირველათ მე ჩვენს უკვდავ მგოსანს სოფელ კატხევში შევხვდი, კნენა ნესტან ჩხირკედელაძის მიერ გამართულ ლიტერატურულ საღამოზე. კნენა ნესტან ჩხირკედელაძისას მთელი უბნის მწერალთა თაიფული მოეკრიფა ამ საღამოსათვის, მაგრამ იმ მშენიერ თაიფულშიაც განსაკუთრებულის ეშხითა, მოხდენილობითა და მიმზიდველობით გამოპკრთოდა მაშინ კიდევ ახალგაზდა მგოსნის სოლომონის პიროვნება.

გარეგნობას ჩვენ არ ვაქცევთ იმდენ ყურადღებას, მაგრამ სოლომონი მაინც კალმით ნახატი-სა და მარშალალოსგან ნაკვეთი გარეგნული შეხედულებისა იყო. ყოვლად შეუძლებელი იყო შეგეხედა და არ შეგეშინა ის. აღნიშნულ საღამოზე მან მხოლოდ ორი კუპლეტი ლექსი წაიკითხა, მაგრამ ხალხის აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა. კნენა ნესტან ჩხირკედელაძისამ ხელიც გაუწოდა საყოცნელათ. თუ მესხიერება არა მლაღატობს ლექსი ასეთი იყო:

„მომიწვიეს ბატონებო,
რომ წაგიკნხოთ ლექსია,
მაგრამ ვის ძალუძს მოთხარით
მუხა თვის ქვეზე ატაროს?
როცა შენ უხმობ, იფეთქებს
თოვლივით გაგიფრინდება...
როცა არ ვინდა, მაშინ კი
ტენისა ამოგქამს თავშია“

უკანასკნელი სიტყვები არც კი დაეთავებია, მგოსანს, რომ ტაშის გრილმა გადაყრუა მთელი სოფელი კატხისევი. მე ვაკვირდებოდი ზოგიერთა ახალგაზდა მგოსანს, რომელთაც ვერ დავივალათ შურის გრძობა და თუშკა აშკარათ ვერა, მაგრამ ზურგს უკან ჩურჩულებდენ:—ეს თუ ლექსია მაშინ შე ჩინეთის ხეშვიფე ვყოფილვარო.

ამ საღამოზე ჩვენ, მე და სოლომონი თითქმის დავმეგობრდით. ხშირ - ხშირათ ვხვდებოდით ერთმანეთს და თავის გულის ზრახვებს ეფუძარებდით. არა მგონია დარჩენილიყო მისი ვრცელი გულის წიაღში რაიმე საიდუმლო, რომელიც სოლომონს

არ გაეზიდას ჩემთვის. ამიტომ ჩემს მესხიერებას დღესაც თვალწინ უდვას დიდებული მგონის შვილიანი ცხოვრება. განა ვის არ გაეგონება ის პირდაპირ საგმირო ამბავი, რომელიც ახალგაზდა სოლომონმა ჩაიღინა კნენისა თებრონე კულხმელაძის სადილზე.

კნაიენა ტურფა კულხმელაძის ქალმა სრულიად მოულოდნელათ მიაპყრო თვალი ცივად მოხარულ ნასუქ ბურვავს, რომელიც ღალათ გაწოლილიყო ხონჩაზე სუფრის არდივარდშო და წარმოსთქვა;

— ნეტავ თუ იქნება ქვეყანაზე ისეთი გმირი ვაჭაკი, რომელიც ამ ბურვავს შესკამს?

— შეუძლებელია!

— შეუძლებელია!

— შეუძლებელია მოისმა სუფრის ყოველი მხრიდან.

— რაქნა, ხომ არ გაგიცილ შეიღო მთელი ბურვაკი კაცმა შესკამის საღ ვაგონილა?

ცოტა წყენის კილოთი შენიშნა კნენის თებრონემ, აღბათ წინათგანძობით შეშინებულმა, რა არის მართლა არ გამოჩნდეს აქ ვინმე თავზე ხელაღებული გმირი და ბურვაკი არ შემეპაპოსო.

— დედოკო, შენ ისტორია არ იცი და ისე ლაპარაკობ, — აღერსით წარმოსთქვა კნაიენა ტურფამ, — ჩენი მეფეები ისეთი გმირები ყოფილან, რომ თითო კაწეხს ყლაპამდენ თურმე.

— კამჩენისა რა მოაგხენოთ, მაგრამ ზაქებს ჩენი პატარა კახი, ერეკლე მეფე, ყოველ საუხმეზე მიირთმევდა თურმე, — წარმოსთქვა თავადმა ზაალ კულხმელაძემ.

ამ ისტორიულ კამათში სოლომონს მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა სხვებზე კარგათ იცოდა, რომ ზაქებს დავით აღმაშენებელი ყლაპავდა და არა ერეკლე მეფე. არ მიუღია მონაწილეობა იმიტომ, რომ კარგა ხანია მისი გამოცდილი თვალი ზომავდა თვით ბურვაკის სიგრძე სივანეს, სწონდა ცალკე ბეჭებს, ცალკე ბარკლებს, მკერდს, თავს და სხვა ნაწილებს.

უნდა გაგიზილოთ, რომ სოლომონსა და კნაიენა ტურფა კულხმელაძეს შორის ტრფობის ძაფი იყო გაბმული და თითოული შესახელდება ტურფასი განსაკუთრებული ს ძლიერებით ხედებოდა ცუხანის ვულს და გამაღებია ატოკება მას. აღნიშნულ დღეს ეს გამოძახილი უფრო ძლიერი იყო,

ვინაიდან სადილათ მოეწვეა სოლომონის მეტოქეთ ითვლებოდა. ამან შეტყნა განსაკუთრებული ტრავიზით გაყენითილი მდგომარეობა და როცა დღრმიშნა ხაშლაძემდე წარმოსთქვა:

— იყო, ბატონებო, ყველაფერი ეს იყო არა თუ ზაქებს და კამჩენს, არამედ ერთმა ბერმა იონამ თურმე გველვეშაპიცი ჩაყლაპა და სამ დღეს მუცელში ყვდა...

— მერე, მერე... შესძახა გაოცებულმა ზაალმა...

— მერე მე რავიცი... დიხს, ბატონებო, ყველაფერი ეს იყო, მაგრამ იყო ძველათ, დღეს ჩვენ ასეთი გმირები აღარა გყვანან...

— მე შევქვამ!

გაისმა ღინჯი, დარბაისლური და მომზიბლავათ ტკბილი ხმა სოლომონისა და მისი მძლავრი თითები მარწუხივით მოექიდა ხონჩას. ეს ორი ჩვეულებრივი სიტყვა მესივით გავარდა დარბაზში და შურილ აავსო ყველას გული, ვინც-ც კნაიენა ტურფას ყურადღების მიპყრობას ცდილობდა.

ამბავს არ გავაგრძელებ. საათ ნახევრის შემდეგ ხონჩაზე მხოლოდ ბურვაკის ძეღები ეწყო განსაკუთრებულის გულმოდგინეობით განსტყუებულნი და მწყობრი სიმეტრიით დალაგებული.

სახლში დაბრუნებისას სოლომონმა მუცლის ტკივილი იგრძნო და განცვივრებულს ვერ წარმედგინა რა მიზეზით უნდა მომხდარიყო ეს. შშობლენ ბის კითხვაზე ის აუღელვებლათ უპასუხებდა:

— არ ვიცი, დემერმანი, ისეთი არაფერი მიქამია, რომ კუჭი დაემძამებია.

ღამით, რაკი ტკივილმა იმატა და მდგომარეობა გამწვავდა, სოლომონს ორი ჯამი საფლარათო ზეთი დაალევენეს.

— არ გასქარა? შეეკითხა შემწინებული ზურაბი, მამა სოლომონისა, თავის მეუღლეს.

— არ გასქარა...

ჩქარა დაალევენეს კიდევ სამი ჯამი და სწორეთ აი ამ მებუთემ იქონია თავისი კეთილი ჭაღლენა.

მესამე დღეს სოლომონი ცოტა წამომჯობინდა და ხუმრობით ამბობდა:

— ზეთმა ქამა ჯამი, ზეთი ქამა ბურვაკმა, მე ბურვაკი შევქვამე.



ს ა მ ბ ა ნ ე ს

სოლომონ ზურგიელიძე ღვინოშიაც არა ნაკლებ მძლავარი იყო. არა ერთი და ორი თავმოყვონე ვეჯკაც გაუზღვია ხელით სატარებლათ თავისი ტოლუმბაშაობის დროს, მაგრამ თითოთი სახვენებლათ დაჩენილა მხოლოდ ის „ორი რეკორდი“ რომლის შესახებ მეგასანს თავის საიდუმლო დღიურში ეწერა:

ეჰ, ვაჰ, ტურფა, გენაცვალე ვითა მძლიოს მე ბურვაცა? ისე მოგსპობ ჩემს მეტოქეს როგორც ქორი წიწილასა.“

ტყვილთ როდი ბობს ქართული ანდაზა: „არა რა მწამს დიაცისა, არცა მოწმენდილი ცისო,

ქანა ტურფამ, რომლისთვისაც ისე თავდადებით შეებრძოლა მეგასანი ბურვაცა, უღალატა სოლომონს და ვიღაც ვეჭილს, თუ ექიმს წაჰყუა. ამან მეგასანზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და აშკარაა მის ამდროინდელ სულიერ განწყობილებას უნდა მიეწეროს დიდებული ლექსი:

„ხალხი ცხოვრობს გლახა დროში; არ ევედრებიან ღმერთსა, თუ კი განაუგს საღმე ტყეში მაშინვე ყელს გამოგვჭრიან... ყველგან ვაისმის ავობა დაი ძმის ეხდებოთ მკვლელია და არა ვეფიქრობთ იმას რომ ავი სახარბილი საქმეა.

და ჩვენ რა ხალხშიც ავზდილვართ იმისი აგვის სულია; მაშ მეც ვიქნები შეთხველო დაუძლეველი ქართველი. ვიდრემდის შემწვეს ძილონე ვიტანჯვი სიცოცხლეშია, სადაურ სადა მოცკვები საღ გამათხრბიან სამარეს“

ჩვენ სასიხარულოდ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ გარემოებას წაუშლელი დალი არ დაუსევას გოსნის ნორჩი გულისათვის და დაკოდლი გრძობა მალე გაუთეთლდა.

ისტორიკოსი.

„ბავშვებო. ერთმა. ეაქარმა. იყილა. დილა. აღრიანათ. ოცი. და. ათი. კვერცხ. ქათმის. დაღებული!

თითო. კვერცხში. მისცა. თითო. კაპეიკი; სამი. კვერცხი. გაყიდა. დალას. სამ-სამ კაპეიკათ;

ხუთი. გაყიდა. მერე. თითო. შაურათ; ოთხი. გაყიდა. უფრო. მერე. შვიდ-შვიდ. კაპეიკათ;

ათი გაყიდა შვადლებე ორ-ორ შაურათ ექვსი გაყიდა სამხრობაზე ვამ სამ შაურათ; დანარჩენი. გაყიდა. საღამოს. თითო აბაზათ! რამდენი. ფული. მოიგო. ეაქარმა. აი. რას. ვეითხულობთ. ჩვენ;“

*ეს საინტერესო ამოცანა თვით სოლომონ ზურგიელიძის მიერ არის შედგენილი, ვერ კიდევ 67 წლის წინეთ, როცა ის მასწავლებლათ იყო სოფ. ჩ... სამრეგლო სკოლაში. მიუხედავთ ამ უზომო მანძილას, ამოცანა დღესაც საინტერესოა არა მარტო ბავშვებსათვის, არამედ მოზრდილთათვისაც.

როგორც ამ ამოცანის გადამხევა, ყოფილი მთავაჟე სოლომონის, ხოლო დღევანდელი მსოფლიო მთავაჟე ტრაფიან ქიშკარდისძე ბლერაინიძე გადმოგვცემს, ზემოაღნიშნულ ამოცანას დიდი პურზაური და მღელვარება გამოეწვევა შეუკნებელ მოწაფეთა შორის. უმრავლესობას უარა განუგებაღება: ჩვენ მაცას არ დაგხსნიათ, რადგანდ რომ ეს არ შეიძლება, დაღას ნაჟიდ კვერცხს-საღამოს აბაზათ ვერ გუოდდარ. სოლომონი თურმე სრულადღე არ დაიბნ და მოხდენილათ უბასუს; უგელაფერი შეიძლება, რაც შესაძლებელია.

დაღეს არავისთვის საიდუმლიბას არ შეადგენს, რომ შესაძლებელია ფასის აწკაჟ არა თუ საათობათ, არამედ წუთობათაც. მაშინ კი ამის გათვალისწინება მხოლოდ და მხოლოდ გენიასის შექმლა. გენიასი კი მხოლოდ სოლომონ ზურგიელიძე იყო.

ყანწი.

სოლომონ ზურგიელის ხსოვნას,

(დებეშები)

ქუთაისი ისედაც დამწუხრებული ქუთაისი, ღრმა გლოვით იგონებს ძვირფას მგოსანს სოლომონ ზურგიელძეს. ორი წლის განმავლობაში არ დარჩენილა არც ერთი საზოგადო დაწესებულება, რომელსაც არ მოხდენოდეს გავლენას სოლომონის ღრმა აზროვნანი და მოსწრებული ნაკვეთები. ეს მით უფრო აშკარაა „პოგრომის“ შემდეგ. ეტნოგრაფიულ საზოგადოებაში აღმოჩნდა სოლომონის აფორიზმები. სადაც ვარკვევით არის ნათქვამი ქუთაისში მომხდარ პოგრომზე:

ქუთაისი ქალაქია და კოლხიდის თვალი, ბულგარი აქვს მშვენიერი სასეირნოთ ვარგა, მარა ნახეთ რა იქნება თუ „პოგრომი“ მოხთა, მალაზიებს დაამტრვენ, ფართალს გაიტაკებენ ნიშნათ პატივისცემისა ქუთაისის საზოგადოება მუხლს იღრტეს სოლომონის საფლავთან და ფიცს დებს არ უღალატოს მის იღვას.

ლალო

იძიდანვე, ღრამატიული საზოგადოება ერთი კვირით აღრე შეუდგა სოლომონის ხსოვნის აღნიშვნის სამზადისს. ქართულ მწერლობას შეეძინა უკადვი ნაწარმოები. აღმოაჩინეს მისი ღრამა „წყალ-წითელა“ რომელიც დღეს იღვება.

თეატრის გ. მგე-ბა

ხონი. ხონის საშუალო სასწავლებელთა მოსწავლენი დიდ სიხარულს განიცდიან, ვინაიდან ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასში აღმოჩნდა სოლომონის ნათესავი ქალი ხვარაზე. ნიშნათ პატივისცემისა მოსწავლენი ერთი დღით გაიფიცენ და შოთხოვენ ლათინურის მაგივრათ სოლომონის ლექსებთ ასწავლონ.

იორიდან გენძეხაძე.

ხამტრედია. დღეს მოხდეს მანუღარიცხოვნი მიტიწგი. სხვა და სხვა სექტორნი წარმომადგენელნი სიტყვებს წარმოსთქვამენ. წინასწარ კრებაზე გადაწყდა გვირგვინების ნაცვლათ სოლომონის ფონდის გასაძლიერებლათ გახსნილ გიმნაზიაში.

გვრიტი.

ბათუმი. აქარიდან და სხვა ადგილებიდან მრავალი დელეგატები მიდიან სოლომონის ხსოვნის აღნიშვნის დღისთვის. მათ თან მოაქვთ სახელმძღვანელო ლიტერტიკები, რომელნიც კრებაზე გამოიტანა ხალხმა. სოლომონის ნაწერების გამოსაცემ ფონდის გასაძლიერებლათ დღეს დიდი საღამო გაიმართება.

ყვავი.

ქუთაისი. ქუთაისის მოსწავლე ახალგაზდობა, როგორც აღზრდილი სოლომონის ნაწერებზე მუხლს იღრტეს მისი დიდების წინაშე და ნიშნათ პატივისცემისა სამი დღით იფიცება, რომ ქალაქის ბაღის ირგვლივ შეგჯუფუნ და არავის მისცენ ნება გავლისა მოსწავლეთა რევოლუციონური წრე.

ჩვენ მოვიყვანეთ უმთავრესი დებეშების შინაარსი, ხოლო ფინაიდან ყველას მოთავსება შეუძლებელია, ამისთვის მარტო ზოგი მთავანის აღნიშვნით დავაკმაყოფილებთ: მივიღეთ

ქუთაისიდან: კატო მიქელაძისგან, ქალითა წრიდან, გრიგოლ ლალიძისაგან, მექისეთა პროფესორ. ნალურ კავშირიდან, გავლა მეტუქისგან, შავი ჭის საბუკოდან, კანტორა „იმერეთიდან“, „მეგობრის“ რედაქციიდან, იხ ეკლაძისგან, „სამშობლოდან“, ფედერალისტთა საბუკოდან, ნოქათა ერთი გჯუფისგან, ქართული გიმნაზიის მოსწავლეთაგან, ქალითა წმ. ნინოს სასწავ. რევოლუციონურ გჯუფისაგან, „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციისაგან. გაღამ უზნის მცხოვრებთაგან და „შავი წერტილის“ გჯუფისაგან.

დღი გვიხაზი. სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელების კრებამ გადაწყვიტა სოლომონის სახელობის შკოლა დაარსონ გამოკიდონ ადგილობრივ სამკითხველოში სოლო-



მონის სურათი და მის ოქტომბერს მოაწყონ სამ-
გლოვადრო პროცესია, სადაც წარმოიქმება სიტ-
ყები და შესაფერ რეზოლიუციებს გამოიტანენ.
ფონქტი

ახსთუმანი. ახსთუმანი ყველა სავადმყოფო-
ების მოსამსახურენი უყვადვი მგოსნის სოლო-
ლომონ ზურგიელის ვარდაცვალებიდან ორი
წლის თავზე მისი ხსოვნის აღსანიშნავათ და სულის
მოსახსენებლათ პანაშვიდს იხდიან. ხოლო მის სა-
ხლომაზე სანატორიაში ერთ საწოლს აარსებენ.

ქალების კომისარია.

ბაქო. ბაქოს ქართველი საზოგადოება ნიშნათ
ღრმა პატივისთ მისა გზავნის ხუთ დღეეგატს,
რამელთა მოვალეობას შეადგენს სოკოთუბანში
წარმოსტევენ სიტყვები.

წ. კ. საზ. გამგეობა.

ბორჯომი. პატარა ბორჯომიც არ ჩამორჩა
სხვა კუთხეს და ჩვენი ერის ნაციონალურ გლოვის
ღღისათვის ძაძებში იმოსება. წ. კ. საზოგ. აღგი-
ლობრივი ვანყოფილება დიდ თათბირს აწყობს,
სადაც უნდა გამომუშავდეს სოლომონის ძეგლის
პროექტი, რომელიც სურთ პარკში დადგან. ირკვე
ვა, რომ ბორჯომში სოლომონს მრავალი თაყვანის
მცემელი ყავს, მომელთა შორის ზოგი მისი პირადი
შეგობარია. იგზავნება დღეეგატი სოკოთუბანში.

ქ ლთა წრე.

სიღნაღიდან. კოტე ტყავაძისაგან, ღურშიშხან
მიქელაძისაგან, ქალთ საქორწინო ორგანიზაციიდან,
სოლომონის სახლობის სალიტერატურო წრიდან,
ტსია ცალთვალაძიდან და ლამაზისუელიდან.

თფილისიდან. იოსებ იმედაშვილისაგან, ივანე
გომართელისაგან, ვაფიკულ მოწაფეთაგან, პირვე-
ლი რაიონის თავისუფალ მოაზრეთა კლექტივისა-
გან, კადეტების ორგანიზაციისაგან, სახალხო სა-
ქმიდან, მედროვე ვანოიდან, პოლტენიკურის ქა-
რთველ სტუდენტებისაგან, ქალთა უმაღლეს კურსე-
ბის მსმენელთაგან და სხვა.

სოლომონის მემორიალი

(ფურცლისტების ხმაზე)

მოკვდა მგოსანი, მიიცვალა აღმური ცისა,
დადუმდა ბაგე არ მეტყველობს ენა ვით წყლისა
და გლოვა ჩვენი უიმედო სრული ორ წლისა
გვაწვეს ვით ლოდი სუკუნის მრავალი ხნისა.
ლამაზ ქალწულებს კოცნას ვართმევთ, კოცნას
კრძნულსა,
და გრძობას ჩვენსას მწუხარებით საცხეს, ძღვეულსა,
თავგულათ ვკრავთ, რომ საფლავი მითი შევამკოთ
და მგოსნის ხსოვნა სავალობლით ასე შევაკოთ.
პვი თქვენ ხალხო, უღწურო და მთვარალო ეშხითა,
მოდით დღეს ჩვენთან სავსე სუფრით, სავსე თევზითა,
გდავკრათ ღვინო, სოლომონსა ასე უყვარდა,
თორემ ქიქებში ღვინო იგი ძალზე ამბარდა.

დღეს ჩვენ საფლავზე ფარჩის კაბებს დაფხვრწით და
დავხვეთ
მთელ საქართველოს ცრემლთა ზღვაში ვაცაგრებთ-
ვაფხვეთ.


მოდით ქოშებით, ქიქის ყელი გალობდეს უნდა
ძველი ვლინთა რომაქიძე ჩვენ ში დაბრუნდა.
ფეცავთ სოლომონს, ვფიცავთ მისსა პოეზიასა,
ვფიცავთ მის შვილებს, ნათესავებს, მოხუც ძიასა,
ვიფიცავთ ხსოვნას ძვირფას მგოსანს გარდაუვალსა
ვფიცავთ მეუღლეს პირზე მისსა შავსა ვიჯალსა
ჩვენ არ მოვეშორდეთ საფლავს მისსა, ქოშით

დავადგეთ,
რომ იმ ქვეყანას საცხონებლათ მის სულს წავადგეთ.
ტანისა რხევა, ფიტველ ფებთა ოცნების ცეკვა
და სოკოთუბნის ეკლესიის ზარების რეკვა,
მთელსა სამყაროს შეამწყურებს და შეაშფოთებს
ხოლო ძაღლები თავის ყეფით მთლათ ააქოთებს.
ვარსკვლავებს დავგლეჯთ, მთვარეს ვავტებთ, მზეს
დავაბნელებთ,

ქვეყნის ვაებას კიდევ უფრო ჩვენ გავაძნელებთ,
თუ არ გამოინდა ლეგიონი ცრემლ მოარეული:
და სატროფი ჩვენი ფარჩის კაბით სულ შორეული
აღბათ მოვაცისწრებს, კოცნას არი იგი ჩვეული.
პე სოლომონჯანი! სული ჩვენი შფოთავს ვით ნესვი,
ჩვენსა დიდებას შენ გაუდგი პირველათ ფესვი,
მადლობის ნიშნათ მოვადგება დღეს შენი ხალხი
(ნეტა გაჩვენა, როგორ ვეშვენის ეგფარჩა თალხი)
და ორი წლისა მწუხარება გულში ნაფუბი
გადმოინთხევა შენ საფლავზე, ვით კინტოს ჩხუბი.

ხუნაგი.

პირველი ვაქცინაცია



ესეც მეორე იშვიათი სურათია და გამოხატავს იმ სიხარულსა, რომელიც გამოიწვია სოლომონის დაბადებამ ზურაბ ზურგიელიძის ოჯახში. მოგვხსენებათ, რომ ის პირველი ვაქცინაციის ზურაბისა.